№ 80 აპრილი 10, ხუთშაბათი 1886 აპრილი 10, ხუთშაბათი № 80

გაზეთი ღირს:

თთვე	მან.	კ.	თთვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ̃ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

უქმეების გამო შემდეგი ნომერი გამოვა აღდგომა დღეს.

გაზეთი „ივერია" 1 აპრილიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან.

ტფილისი, 9 აპრილს

გაზეთებმა გვაუწყეს, რა ამბავი ყოფილა ლონდონში წარსულს მარტს, როცა დანიშნული იყო პარლამენტის კრება გლადსტონის პროექტის მოსასმენლად. მთელი ლონდონი თურმე ფეხზედ დადგა. თუმცა საღამოს ხუთს საათზედ უნდა შეყრილიყო პარლამენტი, მაგრამ დილის ოთხისა თუ ხუთის საათიდამვე ხალხი მიაწყდა პარლამენტს, რომ წინადვე ადგილები დაეჭირა. შუადღიდამ დაწყობილი მთელი გზა გლადსტონის სახლიდამ პარლამენტამდე ისე იყო თურმე მოფენილი ხალხითა, რომ ტევა არ ყოფილა. მუშა-ხალხს შეუწყვეტია მუშაობა, ყოველის კუთხიდამ გამოფენილა და პარლამენტის მიდამო ქუჩები დაუჭერია. უველა მოუთმენლად ელოდდა თურმე სახელოვანს მოხუცს გლადსტონსა, რომელმაც იტვირთა ერთი უდიდესი საქმე მეცხრამეტის საუკუნისა. ოცდა-ხუთი წუთი მეხუთე საათისა იყო თურმე, როცა გლადსტონი გამოვიდა თავის სახლიდამ, ჩაჯდა ეტლში და წამოვიდა პარლამენტისაკენ. ხალხმა რა შეასწრო თურმე თვალი თავის სახელოვანს კაცს, ტაშის გრიით და აღტაცებით მიეგება, ამავე ტაშის გრიით და აღტაცებით მიაცილა პარლამენტამდე. პარლამენტში გლადსტონის შესვლა და ერთი საშინელი გრიალი ტაშისა ერთი იყო. დიდხანს თურმე არ შემწყდარა ეს ტაში და სახელოვანი მოხუცი, თავის სკამზედ მჯდომარე, თავ-ჩაკიდებული ელოდდა ამ ტაშის გათავებას, რომ დაეწყო თავისი სიტყვა.

კაცმა რომ წარმოიდგინოს სიდიდე საქმისა, რომელიც ამ გამოჩენილმა კაცმა კისრად იდო ესე თამამად, ესეთის გაბედულობით, ესე უშიშრად წინააღმდეგ თავის უწინდელთა თანა-მოაზრეთა; კაცმა რომ გონების თვალ-წინ გაიტაროს რა კიცხვა, კილვა და გინება მოჰფინა მთელს ინგლისში გლადსტონზედ სულ-მოკლეობამ და თვალ-მოკლეობამ ბურჟუაზიისამ, რა ტყუილმა შიშმა. შემოუერთდნენ გლადსტონს თავისი უწინდელნი თანა-მოაზრენი, რომელთან ერთად, რომელთა ღვაწლით და მომხრეობით გაუტარებია სხვა სახელოვანი რეფორმებიც თავისის საყვარელის ქვეყნის საბედნიეროდ,—ადვილად მისაწდომია, რა ზღვა-გრძნობა აფორიაქებდა მოხუცს გულს ამ სახელოვანის კაცისას მაშინ, როცა იგი თავ-მდაბლობით მჯდომარე თავის სამინისტრო სკამზედ თავ-ჩაკიდებული უცდიდა ტაშის გრის გათავებას, რომ წარმომდგარიყო და თავისი ეთქვა თავისის ქვეყნის წარმომადგენელთა წინაშე. და განა მარტო ამათ წინაშე!? მთელი ქვეყანა, მთელი რაზმი კაცობრიობის მეგობრებისა, მთელი ჭკუა, გონება და განათლება ქვეყნიერობისა, ყოველი, ყოველი ამ დედამიწის ზურგზედ, რასაც კი ადამიანის მადლი აჩნევია, დღეს მსმენელი და გამკითხველია მისი, რაც ერთს დრო-გარდასრულს მოხუცს მამულისშვილს მოუწადინებია თავის ქვეყნისათვის, რომლისათვისაც შეუწირავს ორმოც-და-ათს წელიწადზედ მეტი უკეთესი დრო თავის სახელოვანის ცხოვრებისა. გლადსტონის მიერ აღძრული საქმე სწვდება არა მარტო ინგლისს, არამედ მთელს ქვეყნიერობის სვებედსა, ამიტომაც ყოველი სიტყვა გლადსტონისა, ამ საქმის შესახებ თქმული, თქმისავე უმალ მოეფინება ტელეგრაფის შემწეობით ყოველს კუთხეს ქვეყნისას და არა ერთს გულს შესძრავს ან «ჰოს» და ან «არას» აღმოსათქმელად.

გლადსტონის სვლა თავის სახლიდამ პარლამენტამდე ტრიუმფით სვლა იყოვო, ამბობს ერთის გაზეთის კორრესპონდენტი. თუ ეს მართალია, ინგლისელებს კვლავ უჩვენებიათ ქვეყნისათვის ერთი მაგალითი კიდევ მისი, რომ მათ იციან პატივის-ცემა თავისის სახელოვანის კაცისა. მოწინააღმდეგეთა დასს სჩანს ან ვერა გაუწყვია რა, ან ვერა შეუბედნია რა იმ კაცისათვის, რომლის აშკარა სიდიდე და ზნეობითი ახოვანება უგრძვნია და ამ სიდიდისა და ახოვანების წინაშე დადუმებულა და ამ სახითქედი მოუხრია თავისდა სასახელოდ ქუჩაში, რომ უფრო ღირსეულად, მართებულად, როგორც შეშვენის პატიოსანს და კეთილ-შობილს კაცს, გაემკლავოს პარლამენტში და პირ-და-პირ ჰკადროს ომი. ორსავე შემთხვევაში ინგლისელნი საქებურნი არიან. ან ხალხი იმოდენად პატიოსნებით სავსეა, რომ არ აჰყოლია უღირსთა წაქეზებას, ან თვით მოწინააღმდეგი დასი იმოდენად მართებულია, რომ თვით არ უკადრნია უკადრისი და პარლამენტში გადასაწყვეტი საქმე ქუჩის მჩვრად არ გაუხდია.

გლადსტონის მიერ თქმული სიტყვა ეხლა მთლად არის მოყვანილი გაზეთებში. თუ გარემოებამ ხელი შეგვიწყო, სიტყვა-სიტყვით დავბეჭდავთ ჩვენს გაზეთშიაც. მაშინ თვითონ მკითხველი დაინახავს რამოდენა სიბრძნე, რამოდენა გამოცდილება, რამოდენა ჭკუაა, სწავლა და განათლება, რამოდენა ვაჟ-კაცობაა ამ მოხერხებულს, გულ-ახდილს, გულ-და-გულ თქმულს სიტყვაში.

«რომ კარგად განგებულ იქმნას რომელიმე ქვეყანა, უთქვამს სხვათა შორის გლადსტონს: მარტო კარგი კანონები საკმაო არ არისო. საჭიროა, რომ იგი კანონები გულწრფელად იყვნენ მინიჭებულნი, საჭიროა თან მიაყოლოთ სურვილიც, რომ ქვეყნისათვის სიკეთე გწყურიანთ უვაჭრელად, უაღებმიცემოდაო... მე მსურსო, სთქვა ბოლოს თურმე გლადსტონმა: ერთხელ და ერთხელ ვიცოდეთ, რომ კაცი იმოდენად არ უნდა დაენდოს ხელ-შეკრულობის ქაღალდს, რამოდენადაც იმ ხელშეკრულობას, რომელიც შთაბეჭდილია ადამიანის ჭკუასა და გულშიო.»

ახალი ამბავი

⁂ ჩვენ გავიგეთ, რომ მთავრობისაგან ახლად შეძენილს თ. დ. ჭავჭავაძის მამულში რაც ვენახებია სულ გადუბარავთ და შეუკეთებიათო.

⁂ ტფილისისა და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობის ფურცლები პეტერბურგის ბირჟაზედ 96 მან. უძლევიათ, მაგრამ მსყიდველნი არ აღმოჩენილან.

⁂ ჩვენ უკვე გვქონდა მოხსენებული, რომ ამ ჟამად ქალაქის ქუჩებში სვეტებსა სდგამენ სხვა-და-სხვა განცხადებების გასაკვრელად. ეხლა გაზეთები სწერენ, რომ ამ თვის 20 სულ გათავებული იქმნებაო. სვეტები, კუკიისა და ავლაბრისაც რომ ვიანგარიშოთ, რიცხვით ორმოც-და-ათია. განცხადებების გაკვრის ნება აუღია ბ-ნ კეპნოვს, ექვსის წლით, რისთვისაც წელიწადში 100 მან. უნდა გადაიხადოს გამგეობის სასარგებლოდ. ერთის რუსულის გაზეთის სიტყვით, თითო სვეტი მეიჯარადრეს დასჯდომია 100 მან. და მეორე რუსულის გაზეთის სიტყვით კი—60 მან. მოდით და გაარჩიეთ ამათში, რომელია მართალი და რომელი მტყუანი.

ფელეტონი

ძეგლი

არის ხეობა ვიწრო და მწირი,
იმის დანახვა თვალს არ ახარებს,
არსად არა სჩანს ბუჩქისაც ბწკირი,
ყვავილს და მდელოს არსად აგვარებს;
ორის მხრით მთანი ცამდინ ასულან
და მათნი წვერნი იქ დამალულან
შავს ღრუბლებშია, ნისლში დ̃ ბუნდში,
ყინულში, თოვლში დ̃ მწყვდიად ბუქში;
მის წიაღია ნანგრევნი კლდისა
და ნატამალი და ქვიშა მთისა.
მათ შუაც კაცნი დასახლებულან,
სოფელნი, თემნი აშენებულან;
სახლნი, ტაძარნი კოშკებით მაგრით
მთლად შებურვილნი მრავალთ წელთ ხავსით
კლდეთ ნანგრევთ შუა ნანგრევებს ჰგვანან,
ვით გაყინულნი ნანგრევნი წვანან;
ეს არის გვამი, უსულო, მკვდარი;
მაგრამ უფსკრულში მოჰქუხს მდინარი,
მოჰქუხს, ღრიალებს, შესძახის მთასა,
დუღს და რისხვითა ცვარს ასხამს ცასა,
ქაფის ზვირთებსა სცემს თავის კიდეს
და შიგ ჩაწოლილს ნანგრევს სალსაკლდეს,
მირბის, ვით გველი მიიკლაკნება,
ვრცელს ზღვას შეერთოს მას ესწრაფება...

—

არის ეგრეთი იგი ხეობა,
სჩანს მადლი ღვთისა მას არ ეხება,
მაზედ მის თვალსა არ უმზერია,
თუმცა მაინც-კი მშვენიერია!
მაგრამ შვენებით სხვა გვარით შვენის,
მის შვენების წინ კაცი შიშით ძრწის,
მისი შვენება, დიდი ველური
მას ამხელს არის მის წინ უძლური
და მას ხეობას ვიდრე გააწევს,
იგი შვენება გულს ლოდად აწევს.

—

ვიყავ ქაბუკი და არე-მარე,
ხეობავ, შენი ჩამოვიარე:
მაშინ პირველად მე შენ რა გნახე,
ღვთის ძლიერება შენზედ დავსახე.
შენის საშინლის შვენების წინა
მგზავრს აღარა აქვს სიტყვა და ენა
დ̃ მხოლოდ გიმზერს, მიდის დ̃ გიმზერს,
მხატვარი გხატავს, მწერალი გიწერს.

—

მის შუა მთაზედ მოჩანს ტაძარი;
მისი გუმბათი და წმინდა ჯვარი
მაღლა ასულნი ხელითა მაგრით
მას მწირს ხეობას უმზერენ მადლით.
მას არ ეშინის ქარიშხალისა,
თუმც არს მოხუცი ათასის წლისა.

—

ავედ მის წინა, ვეცი თაყვანი
და მოვიხსენე მამა-პაპანი.
იმათის მაგრის, წმინდის ხელითა,
იმათ სამშობლოს სიყვარულითა
აღმართული ხარ, წმინდა ტაძარო!
შენ ვერას გავნებს მეხი საზარო!
სდგეხარ მოსილი მწვანე ხავსითა,
ვით ქველი გმირი აბჯარ-აბგრითა;
გადმოკიდული უფსკრულზედ სდგეხარ,
მრისხანე ქართან ბრძოლისთვის მზა ხარ!

—

ეხლაცა სჩანან კოშკნი, კედელნი,
მის წმიდა ტაძრის ამაყად მცველნი,
მაგრამ მის ეზო და მისი არე,
არს მოგონება წარსულთ დროთ მწარე.
როსმე ყოფილა ესე ტაძარი
დედათ სავანე და მონასტერი.
მარხვით, შრომითა მათ ულვაწნიათ,
ქვეყნისთვის ლოცვა ცად უვლენიათ;
აქ ფრიალოზედ და უდაბურში,
ღრუბლებზედ მაღლა, ნისლში დ̃ ბუნდში
თავის სიცოცხლე მათ დაუმარხავთ
და თვის სამშობლოც აღარ უნახავთ!
სოფლის შვებასა მოშორებიან
და მაცდურს აღარ მიჰკარებიან.

—

მაგრამ წელთ განვლეს, სადღა არიან?
წმიდა სენაკნი ნანგრევად ჰყრიან;
მათნი საფლავნი სჩანან აღარა,
ავდართ ნაკადმა ქვიშით დაჰფარა.
მხოლოდ სჩანს მარტოდ ერთი სამარი;
მაზედ წევს კლდის ქვა, მძიმე, მაგარი;
საუკუნენი მაზედა განვლენ
და მის სიმაგრეს ვერ დაარღვევენ.

—

«მაგრამ შენ ბუჩქო, ბუჩქო ვარდისავ
სუნნელოვანი ასულო მზისავ,
ამ სამარესთან ვისგან ჩარგულხარ
და ამ ღრე-კლდეში ვით ამოსულხარ?
შენნი კოკორნი აქ იშლებიან,—
თუ უდროოთა ყინვით ჰკვდებიან?»
ჩემს ოცნებაში ვკითხამდი ბუჩქსა
და მის შტოთ, ფოთოლთ ვთხოვდი პასუხსა.
მაგრამ ბუჩქს არ აქვს გრძნობა და ენა,
არს უასაკო, არა აქვს სმენა.
ვისია, ვკითხე, ქვას ეს სამარი?
და წავიკითხე მაზედ «თამარი»,
წელნი მის მიცვლის და მონოზნობის,
მოკლე მოთხრობა მის მოღვაწობის.
შენა ხარ შენა, ჩემო ოცნებავ!
ქველის მამისა ნუგეშო, შვებავ!
ჩემს განკითხვასა როდისაც ვწერდი,
შენს ციურს სახეს თვალ-წინ ვხედავდი,
მშვენიერებით მდიდრად მორთულსა,
მაგრამ ფერ-მიხდილს და დაჩაგრულსა!
და აქ შორს შენის სამშობლო ველით,
მის ყვავილებით და მზით ცხოველით,
აქ ფრიალოზედ, მწირს უდაბურში,
მთის ნანგრევებში, კლდეში და ღრეში
ვუმზერ შენს ობოლს და ცივს საფლავსა
და მაზედ მძიმე სალის-კლდის ქვასა.
მორთული შენის შავის მაზარით
ჰკვდებოდი თურმე საშინლის აზრით:
წყევლა მამისა თურმე გესმოდა,
მცხედარი ვინმე გელანდებოდა;
მაშინ შიშითა ჰთრთოდი და ჰძრწოდი
და მოტევებას ცრემლით ღმერთს სთხოვდი
და წახვეული შავს მაზარაში

*** იმ წარმოდგენიდგან, რომელიც ი. ი. ფითოევის სათეატრო დარბაზში გაიმართა წარსულის თთვის 28 რიცხვს სამადლო განზრახვით, წმინდა შემოსავალი ყოფილა 1,629 მან. და 60 კაპ. ამ ფულიდგან სხვა საზოგადოებათა შეწირულების გარდა, ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდაც გადაუდვიათ 218 მან. და 50 კაპეიკი.

*** ბაღმა, რომელიც შუშის ნამეიდნარზედ გააშენეს, სულ შეუცვალა სახე იქაურობას. მშვენიერს სახილველს წარმოადგენს ეხლა ეს ადგილი, ხეებს ყვავილი და ფოთოლი გამოუტანია, ბაღი ფხვნილის აგურით არის სუფთად მოფენილი. უექველია, ეს ბაღი თავის დროზედ კარგს სასეირნო ადგილად შეიქმნება ქალაქელებისათვის.

*** გაზ. «მშაკს» სწერენ შემახიიდამ, რომ იქ ძლიერმა ქარებმა და სიცივეებმა მარტის უკანასკნელს დღეებში დიდი ზარალი მოუტანა შემახიის მაზრასაო, ბევრი ცხვარი და სხვილი საქონელი დახოცილა ამის გამო. 29 მარტს, ქალაქიდგან რამდენისამე ვერსის სიშორეზედ 5 ლეკი გაფიჩხებულა და მომკვდარა სიცივითა.

*** 16 აპრილს თფილისის კრუჟოკის სადგურში გამართული იქნება სატანციო სალამო. ამ სალამოსაგან შემოსული ფული მეტეხის ციხეში დამწყვდეულთა სასარგებლოდ არის გადადებული. სალამო იმართება საკუთრად იმ აზრით, რომ ტუსაღებისათვის საწოლები შეიძინონ. (გაზ. «Нов. Обоз.»)

*** ამავე გაზეთის სიტყვით, განზრახვა აქვთ, ქალაქის გამგეობასთან გახსნან ცალკე დაწესებულება, რომლის მოვალეობაც იქნება თვალ-ყური დაიჭიროს ქალაქში გასასყიდ ხორაგეულებზე. იქვე იქნება გამართული საქიმიო ლაბორატორია, რომელშიაც ხორაგეულების სიავეს და სიკარგეს გასინჯავენ.

◆

ნაკვესი

თ. შანშე ერისთავი: «მებაღევ, ეს რა არის, ზემოდ მოგირწყავს ბაღი და ქვემოდ კი არა.

მებაღე. «არაფერია, ბატონო, ჩამოუვა.

ბატონმა ხმა აღარ გასცა. ხოლო როცა მოსამსახურენი სადილად დასხდნენ, თ. შანშემ უბრძანა მერიქიფეს თავიდამ დაჭყვეს და ყველას რიგით დაალევინოს ღვინო და რა მებაღემდის ჩავიდეს, რომელიც ბოლოში იჯდა, რიგი ააცდინოს და ისევ თავიდამ დაიწყოს. მერიქიფე ბძანებისამებრ მოიქცა. საწყალს მებაღეს ცრემლი მოერია თვალში და ბატონისაკენ მიიხედა ნაღვლით.

ბატონმა მიუგო:

— არაფერია, ჩამოუვაო შენამდინაც.

ლელო

◆

კავკასიის საისტორიო და საარხეოლოგიო საზოგადოების კრება.

გვიკვირს და გაგვკვირვებია, რამ დასცა ჩვენში ასე უწყალოდ ყოველივე სამეცნიერო ინტერესი და რამ გაგვაგულგრილა თვით იმ მეცნიერების შესახებაც კი, რომელზედაც მეტად საგრძნობლად დამოკიდებულია წარსული თუ ახლანდელი ვითარება ჩვენის ქვეყნისა. მე მოგახსენებთ იმ გულ-გრილობაზედ, რომელსაც ჩვენ, ქართველები, ვიჩენთ კავკასიის საისტორიო და საარხეოლოგიო მეცნიერების გამო. ტეხნიკური საზოგადოებაა და არ გვიზიდავს, გეოგრაფიული საზოგადოებაა და ნახვითაც არ ვინახულებთ ხოლმე, სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაა კიდევ და ყურმოურუებული ვართ. ეს გულ-გრილობა ხომ გასაკიცხია და გასაკიცხი, მაგრამ გულ-გრილობა საისტორიო და საარხეოლოგიო საზოგადოების შესახებ უფრო მეტად გულ-სატკენია და გასაკიცხი. გასამართლებელი აქ აღარა გვაქვს-რა. უფრო მოუყურუებთ ამ საზოგადოებასაც-კი, რომელსაც პირ-და-პირ ჩვენის ქვეყნის ისტორიული და არხეოლოგიური გამოკვლევა გაუხდია თავის საგნად. ჩვენ ასე უგულოდ ვექცევით ამ საზოგადოებას და არც მისი მოღვაწეობა მიგვაჩნია საინტერესოდ, არც ის ქართველი მეცნიერი, რომლის მხოლოობითის და საკვირველად ვრცელს მოღვაწეობაზედ არის თითქმის დამკვიდრებული ამ საზოგადოების ბედი და უბედობა. ერთი მიბძანეთ, რომელი საჯარო სამეცნიერო ლექციები გვაბეზრებენ ჩვენ თავს, რომელი საუნივერსიტეტო დისპუტები პროფესორებისა გვიღალავს ჩვენ გონებას, რომელ სხვა სამეცნიერო მოღვაწეობას შეუპყრია ჩვენი სულიერი ძალა, რომ ამ ორიოდ-სამს სამეცნიერო საზოგადოებასაც-კი ასე გულ-გრილად ვეპყრობით და ცუდად-ყოფნას, ბულვარზე სეირნობას ვრჩეობთ და ამ საზოგადოების კრებაზე, არამც თუ მონაწილეობის მიღება გვეზარება, არამედ დასწრებაც-კი.

ნუ თუ უბრალო ცნობის-მოყვარეობაც კი გაგვქრობია, რომ შეტყობა არც კი გვინდა იმისი, რასაც ეს თუ ის მეცნიერი იტყვის, ან წაიკითხავს რომელსამე ჩვენ შესახებ საისტორიო საგანზედ?

გუშინწინდელს საარხეოლოგიო და საისტორიო საზოგადოების კრებაზე 30-მდე კაცი დაესწრო და მათ შორის სამი და ოთხი არა ყოფილა ქართველი, მაშინ, როდესაც კრება ისეთს საგნებს შეეხო, რომელიც პირ-და-პირ ჩვენის ქვეყნის წარსულს ყოფა-ცხოვრებას ეკუთვნის.

ამ ჟამად ჩვენ მხოლოდ დ. ზ. ბაქრაძის-მიერ წაკითხულის წერილის გამო ვილაპარაკებთ და ისიც მოკლედ. წერილს მატიანე ჰქვიან ჩვენის ქვეყნის არხეოლოგიისა 1885 და 1886 წ., მაგრამ ჩვენმა სასიქადულო მეცნიერმა მშრალი, ძილის მომგვრელი მატიანე კი არ წაიკითხა მართლა, იგი კითხულობდა მშვენივრად შედგენილს წერილს სხვა-და-სხვა ფრიად საინტერესო საარხეოლოგიო და საისტორიო საგანზე. ლექტორის კილო სავსე იყო სამდურავითა და საყვედურით იმის გამო, რომ აუარებელი სიმდიდრე საისტორიო და საარხეოლოგიო აქამდე გამოკვლეული და შესწავლილი არ არის, ზოგი მიწაშია დამარხული და ჯერ არ ნაპოვნი და ზოგი სრულიად შემთხვევით აღმოჩენილიო. ერთ გზა-ტკეცილთან აწყურის ახლო ძვირფასი საისტორიო განძი იყო და მხოლოდ შემთხვევით შევიტყეთ მისი არსებობაო. გორის ახლო ატენის ტაძარში შესანიშნავი წარწერა, დიუბუა დე მონპერესა და ბროსესაგან შეუმჩნეველი, მხოლოდ შარშან ზაფხულს აღვადგინეთ და წავიკითხეთო. ზემო-მხატვრობა გადასცლოდა კედელს და ეს წარწერა მაშინ გამოჩენილაო.

დღეს მოსკოვის საარხეოლოგიო საზოგადოებას მოსვლია ფიქრად კავკასიის საქრისტიანო ტაძართ შესწავლაო და აქ პატივცემულმა მეცნიერმა მოკლედ განმარტა, რა და რა ადგილს და რა მხრით უნდა მიაქციოს ამ საზოგადოებამ თავისი უმთავრესი ყურადღება. საზოგადოებას, როგორც გაზ. «Московскія Вѣдомости»-ებში იყო მოხსენებული, მოუსმენია დ. ზ. ბაქრაძის აზრი კავკასიის გამოკვლევის თაობაზედ არხეოლოგიურის მხრით და გადაუწყვეტია, რომ კამისია იქმნას ამორჩეული ამ საგნისათვის პროგრამის შესადგენად. პროგრამის შედგენის შემდეგ მიანდობენ მომზადებულთ პირთ, რომ შეუდგნენ კავკასიის შესწავლას ამ პროგრამის დაგვარადაო.

ატენის ტაძრის წარწერის თაობაზედ, აგრეთვე სიმონ კანანელის მონასტრის გამო დაწერილს რუსულს წიგნზე ჩვენ აქ არას ვიტყვით, რადგან ჩვენს გაზეთში ამ საგანზედ ვრცელი ცნობა იყო დაბეჭდილი. ვიტყვით მხოლოდ, რაც ითქვა აღმოსავლეთ-რუმელიაში ნახულის ქართულის ხატის ზედწარწერის თაობაზე. ამ წარწერის თარგმანი რუსულად მოყვანილი იყო გაზ. «Новости»-ებში და ჩვენც თავის დროზედ გადმოვბეჭდეთ «ივერიაში». დ. ზ. ბაქრაძემ სთქვა, რომ მაგ ხატის ფოტოგრაფიული სახე ერმაკოვმა რუმელიაშივე გადაიღო და მე გამომიგზავნა ჯერ ისევ 1875 წ. ტრაპიზონიდგანაო. სამწუხაროდ წარწერა პროფესორს ა. ცაგარელს შეცთომით გადაუთარგმნიაო. იქ სწერია ინდიქტიონს Ѳ-ნსი, რაიცა ნიშნავს ცხრას და პროფესორს О-ნად მიუღია, ხოლო ეს ასო ჰნიშნავს 70. 70 ინდიქტიონი სრულიად არც-კი არსებობსო. იქ სწერია ოქროპირიო, რაიცა ნიშნავს საკუთარს სახელსა და არ გადაითარგმნება სიტყვით златоустъ-ით, როგორც ბ-ნს პროფესორს შეცდომით მოსვლიაო. წინადადება: მომღვრისა ათანასის და ოქროპირის პერპერითა РКЅ გადათარგმნილია ასე: «иждивеніемъ златоуста»-ო, მაშინ, როდესაც ასე უნდა ითარგმნებოდესო: «126 პერპერითა (ვიზანტიის ფულის სახელია) ათანასისა და ოქროპირისა». ბ-ნი დ. ზ. ბაქრაძე არ ეთანხმებოდა ბ-ნს ა. ა. ცაგარელს აგრეთვე იმის შესახებაც, რომელნი საქართველოს და საბერძნეთის მეფენი არიან მოხსენებულნი წარწერაში, ისინი, რომელნიც ბ-ნს ა. ცაგარელს დაუსახელებია, თუ სხვანი.

თავს მჯდომარემ კრებისამ გენ. ლეიტ. ტროცკიმ მადლობა გადუხადა პატივცემულს მეცნიერს ასეთის საინტერესო წერილის წაკითხვისათვის. საზოგადოების სეკრეტარმა ბ-ნმა ვიდდინოვმა წაიკითხა მოკლედ ამბავი ბ-ნის ფელიცინის გამოკვლევათა ყუბანში ესრედ წოდებულს დოლმენებზე, ანუ ჩვენებურად ძველის-ძველ აკლდამებზე და ამით დასრულდა სხდომა საზოგადოებისა. კრება დაიშალა $10^1/_2$ საათზე.

რაიცა შეეხება ზაგურსკისა და როსიკოვის ნათქვამს, ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ გუშინ, რაზედაც ილაპარაკეს ამ პატივცემულ პირთ.

◆

დამაკვირდი

ვისაც ტანჯვისა ეშინიან, იგი უკვე იტანჯება შიშისაგან. (მონტენი)

***

ყოველს ასაკს აქვს თავისი მავთული, რომელსაც მოჰყავს მოძრაობაში ადამიანი. (ჟან-ჟაკ-რუსო)

***

უსწავლელი გონიერი ჯაჭვით დაბმული ლომია, ნასწავლი უგუნური კი— თავის-უფლად მფრინავი თუთიყუში. (აკაკი)

***

მჭვრეტელთა ომი არ ეძნელების. (სარგის თმოგველი)

***

ამოწვდილს ხმალსა მტრისასა
წინ მიაგებე ფარიო:
დროზედ ნახმარი ფარიცა
იგივე ხმალი არიო. (ლარიძე)

***

მცოდველი ცოდვით მკვდარია,
ქვე დაუცია წყენასა;
შეუნდობ—მკვდარი აღდგება,
შენით მიიღებს ლხენასა!

(მეფე ვახტანგ VI)

◆

უდროოდ ჩასწექ კლდის ნატამალში
ფერ-მკრთალი, მაგრამ კვლავ მშვენიერი;
შენ დაგტიროდა ხეობის ერი.
ჰყოფილხარ ობოლთ ვარსკვლავი, მთვარე,
ქვრივთ და ოხერთა ნუგეში, არე:
დიდის ქონებით რაც წლით გრგებია,
დავრდომილთათვის გირიგებია,—
შენ-კი გივლია სამოსლით ციეით
და მონოზნისა შავის მაზარით...

—

მანამ ხეობათ არს ის ხეობა,
შენი სახელი იქ არ განქრება:
შენზედ მამანი ძეთ მოუთხრობენ!
გსახეენ წმიდათა და თაყვანს გცემენ!
და ესე ხსოვნა, ცრემლი ერისა
და ის უბრალო ქვა სამარისა
შენი არს ძეგლი, მკვიდრი მდიდარი!
მას ვერ შემუსრვენ დრო და ავდარი!
და იგი ძეგლი სჯობია ძეგლთა,
მარმარილოთი, თითბრით ნაგეშთა.

ვ. ო.

◆

მსხვერპლი პატიოსნებისა

როგორც ჩვენში ზოგიერთი ისეთი წიგნის მაღაზია იყო და დღესაც არის, სადაც თავს იყრიან ახალგაზდა მჯღაბნელნი, ისე დღეს მუსიუ ქიროს მაღაზიაა თურმე პარიჟში. განსხვავება ის არის მხოლოდ, რომ ქიროს მაღაზიაში ახალგაზდა მჯღაბნელნი და «ჯანყითა და ბურუსით მოსილნი» მწერალნი კი არ იკრიბებიან, ნამდვილნი ახალგაზდა ლიტერატორნი და გაზეთების გამომცემელნი. მართალია, ამ ახალგაზდა მწერალთ ძალიან ეტყობათ ახალგაზდობა და კახურ ღვინოზედ მეტად ათრობსთ ახლად-დაბეჭდილის ქაღალდის სუნი, უფრო მეტად უყვართ თავიანთ ნაწერის კორექტურის გასწორება და ფორმატზე ლაპარაკი, ვიდრე ჩვენს მჯღაბნელთ სხვა-და-სხვა მაღალ ფარდების «სადღეგრძელონი», მაგრამ მაინც ჩვენს მჯღაბნელებზედ იმოდენად მაღლა სდგანან, რამდენადაც თვით ქიროს მაღაზია აქაურ მაღაზიაზე. ისიც მართალია, რომ ყოველი ლიტერატურული ახალ-ახალი ამბავი პირველად ქიროს მაღაზიაში გაჩნდება ხოლმე, ისე როგორც ჩვენს წიგნის მაღაზიაში შევიტყობთ ხოლმე უწინარეს ყოველისა, რომელმა მწერალმა რა დასწერა, როდის აპირობს დაბეჭდვას და დაბეჭდვამდე რამდენი რამ უბედურება უნდა თავს გადახდეს ლიტერატურულს ქმნილებასა. აი ამ ქიროს მაღაზიაშიო, მოგვითხრობს ერთის რუსულის გაზეთის კორესპონდენტი, მე გავიცანი ახალგაზდა და ნიჭიერი რომანისტი რობერ კაზიო. კაზის ვიცნობდი უწინვე იმის მშვენიერის ნაწერებითაო. რამდენმამე რომანმა რობერ კაზის სახელი საყვარელი გახადა მრავალთათვის, თუმცა რობერ კაზს, ჯერ თავის ნაწერებით დუშაში არ მოსვლოდა და, პოლ-ბურჟესავით, ელოდა დიდებასა და თავის სახელის განთქმასა. მისი წიგნები მეორე ჯერ და მესამე ჯერ იყო მხოლოდ დაბეჭდილი და ნიშნები დიდების მოპოვებისა ცხადად სჩანდა და ახლოდამ უალერსებდა ახალგაზდა რობერ კაზს. ჩვენში იტყვიან, რა თავს იტკივებდა და იცხელებდა, თუ არ იყო ნიჭიერი მწერალი, სხვა ხელობას დასდგომოდა, ძალად მაცხონე ხომ ვერ შეიქმნებოდაო. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რა არის დიდება საფრანგეთში მწერლისათვის, უნდა ვიცოდეთ, რა აუარებელი შემოსავალი აქვს მოწონებულს მწერალს წიგნებისაგან და მაშინ ამას აღარ ვიტყვით. კერძოდ რობერ კაზზე-კი არ ითქმის ესა. რობერ კაზი არ იყო ფულის მძებნელი მწერალი და თავ მოყვარე კაცი. კაზი უკვე მოსწონდათ და აფასებდნენ ისეთნი სახელოვანნი მწერალნი, როგორც ზოლა არის, დოდე და გონკური და ჯერ-ჯერობით ამასაც ჰკმარობდა. თუმცა შხამიანი ენა ჰქონდა, მაგრამ ამხანაგებს ძალიან უყვარდათ. საქმე ის არის, რომ ეს ახალგაზდა მწერალი საკვირველი პატიოსანი იყო და გულ-წრფელი. ლიტერატურას ისე კი არ უცქეროდა, როგორც საღსარს გამდიდრებისას და სახელის მოპოვებისას, არამედ, როგორც სამსახურს საზოგადოების მიმართ. რაც უნდა ნიჭიერი მწერალი ყოფილიყო კაცი, ამ პატიოსანს მწერალს მისი ნიჭი ვერ მოისყიდდა, თუ ამ მწერალს რაიმე ლაქა ჰქონდა მოცხობილი და თუ მისი პატიოსნება რომელისამე ბნელის საქმით იყო ჩრდილ-მოფენილი. ამ გვარ შემთხვევაში კაზი კლდესავით შეურყეველი იყო და ყმაწვილივით გამოუცდელი. კაზს სძულდა და სძაგდა ისეთი მწერალნიც კი, რომელნიც თვალით არ ენახა თავის დღეში, მხოლოდ იმიტომ, რომ გაგონილი ჰქონდა რამე უპატიოსნება და უჯერო ქცევა მათი. თავის მძულვარებას მარტო თავის ამხანაგებში კი არ გამოსთქვამდა ხოლმე ამ გვარ მწერლისადმი, ლიტერატურაშიაც გადაჰქონდა და უწყალოდ სდევნიდა იქაც. ვსთქვათ, ესა და ეს ჟურნალისტი რომელსამე სახელ-განთქმულს არტისტ-ქალს ფულს ართმევს და ქებას და ხოტბის წერილებს უწერს. საფრანგეთში სხვას არავის არ გააკვირვებდა ამ გვარი სიმდაბლე სულისა, იმიტომ-რომ საფრანგეთის მწერალთა-შორის ამაზე ბევრად უარესი საძაგელნი და საზიზღარნი პირნი მოიპოვებიან; ათი და ოცი ჟურნალისტი შეიძლება დაასახელოს კაცმა ისეთი, რომელნიც ვისაც უნდათ სახელს მიანიჭებენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. ქუხი, აპრილის 1-სა. პირველი ამბავი, რომელმაც მიიქცია სოფლის ხალხის ყურადღება ამ ცოტა ხანში, იყო უეცრად მოსული 23-ს მარტს თოვლი და ოც-და-ოთხს მარტს ყინვა, რომელმაც დააზიანა თითქმის ყველა ხეხილი და მათთან ერთად, თუ მეტი არა, სანახევროდ მაინც, ვაზიც. ნათქვამია:

«არც არავის ყმათ ვყოლივარ
არც არავინ ყმათ მყოლია,—
ჩემის ოფლით მოწეული
წლიდან წლამდის გამყოლია»-ო.

ამისა არ იყოს, ჩვენ თუმცა სხვები არ გამოგვყავდა ჩვენის ღვინით, მაგრამ სხვისი სასყიდლურიც არა გვქონია. კერძოდ კუხზედ რომ გსთქვათ, ეს სოფელი, სადაც მთიდან გადმორგულ «მწვანემ» ფესვი კარგად მოიდგა და იხეირა,—ღვინოს კიდეც ჰყიდდა და ამით ფულს შოულობდა. წელს კი ერთობ იმედ-მიხდილნი შევყურებთ ღვინის მოსავალს. მაგრამ ისიც მომხდარა და შეიძლება კიდეც, რომ ახალმა კვირტმა ვაზისამ ძველზედ არა-ნაკლებ იხეიროს. აბრეშუმის მოსავალზედაც უიმედოდ გაგვხადა ამ ერთმა ყინვამ. თუთის ხის ახალი ყლორტები და ფოთლები სრულიად გახმო. თითონ აბრეშუმიც, თუ ჭიად გამოსული, თუ თესლი, სანახევროდ მოჰყინა. აბრეშუმის მოუსავლობა მცირე დანაკლისს არ შეადგენს ჩვენის ხალხისათვის. მას შემდეგ რაც ბატონყმობისაგან განთავისუფლებული ხალხი, ახალის ცხოვრებისაგან გაამაყებული, «მოდებს» გამოუდგა,—«პოლსაპოშკები», კუდიანი კაბები და «სედლოები» შემოიღო, ყოვლად შეუძლებელი შეიქნა ოჯახი ფეხზედ დააყენოს კაცმა, თუ სხვა-და-სხვა სახსარს ცხოვრებისას არ მიჰმართა, თუ ოჯახმა გასასყიდი არა მოინაღვაწა-რა. აუცილებლად ოჯახი უნდა ან სიმინდს, ან ღვინოს, ან აბრეშუმს და უფრო ხშირად კი ყველასაგან ცოტ-ცოტას ჰყიდდეს, რომ როგორმე წლიდან წლამდის ოჯახი პირ-ნათლად, «შეურცხვენლად» გამოვიდეს, რომ აღდგომას ახალ-ახალ ტანისამოსებით შეჰხვდეს, ზათხულსა და მაისისათვის სხვა-და-სხვა დღეობას «სედლოებით» მიეგებოს, საშემოდგომოდ მზითევთან ერთად ფულებიც მზად დაახვედროს სასიძოს, საშობაო-სანათლიღებოდ მსუქანი ყვერულები, ნასუქი ღორები და დვეზლები წაუღოს ნათლიას. და ამას გარდა მღვდელიც და «ბოჩიკეც» მადლიერი იყოლიოს... ორთა შუა-რიცხვით ჩვენში თითო ოჯახი მოიყვანს 10—15 ქიანს აბრეშუმს, რომელიც აძლევს ოჯახს 20—35 მანათამდის. სოფლის ღარიბ ოჯახისათვის ოცი—ოც-და-ათი მანათი ხუშკად აღებული დიდი ფულია. ისეთი ოჯახიც არის, რომელსაც აბრეშუმიდან ათიდან—თხუთმეტ თუმნამდის შემოუვა... ეს მაშინ, როდესაც კაცი ჭკვიანად და მოხერხებით იქცევა, ფრთხილად ჰყიდის და ფრთხილად არჩევს თესლს. თორემ წარმოიდგინეთ ასეთი შემთხვევა: ოჯახის ქალი აბრეშუმის კვოებას ზედ გადაჰკვდომია, მოდის ვიღაცა ჩარჩი და ამ შრომისა და წვისა და დაგვის შვილისაგან ჰყიდულობს ხუთის მანათის საღირალს ხუთ აბაზად!!

მთავრობის ბრძანებისამებრ, აქ ზედიზედ ორი კრება იყო გამართული მამასახლისის მიერ. სოფელს უნდა ამოერჩია თავის შორის ამცრელი (ვაქცინატორი) ყვავილისა. სოფელს განჩინებით უნდა აღეთქვა ამორჩეულის კაცისთვის თითოეულს აცრილზედ ხუთი კაპეიკი და აგრეთვე ამცრელი უნდა განეთავისუფლებინა სოფლის ბეგარისაგან, ან როგორც აქ ეძახიან «გასაწვევისაგან». ორჯელვე კრება დაიშალა და ვერაფერი ვერ გადასწყვიტა. სოფელმა აქ დაინახა ახალი «მახე თავისა გასაყოფელი»; ეს ახალს ხარჯს რასმე შეგვმატებსო... თუ საჭიროა ამცრელი ალბად ყველასათვის საჭირო უნდა იყოსო, როგორც გლეხისათვის, ისე სხვა წოდებათათვისო. რატომ ისინიც არ სდებენ ხელ-წერილს და ჩვენთან ერთად ისინიც არ იყენებენ ამცრელსო!

ასე და ამ გვარად სოფლის ყარაულობაც ჩვენ მარტო გვაკისრესო, თითქოს მარტო ჩვენთვის იყოს საჭირო ქურდობის მოსპობაო! ხალხი დაიშალა ამ სიტყვით: თუ ჩვენი ნება არის, ჩვენ უარი გამოგვიცხადებიაო, როცა და ვისთვისაც საჭირო იქნება ამცრელი, კიდეც ვიშოვნითო; თუ ჩვენი ნება არ არის და ბრძანება არისო, რაღას «გვეცერემონიებით», გვიბრძანეთ და მორჩილი გავიხდებითო. ამ შემთხვევაზედ არა ითქმის რა ამის მეტი: «შეშინებულმა ძაღლმა სამს წელიწადს მთვარეს უყეფაო»...

ნარი

დ. ზესტაფონი. დღეს, 6-ს აპრილს აკურთხეს ახლად გადაკეთებული ეკკლესია. ეკკლესია ფიცრისა იყო და ახლა ცოტა გაუდიდებიათ, ქვითკირის საკურთხეველი მოუმატებიათ. შიგნიდამ ლაზათიანად და ლამაზად არის შეკეთებული. ეკკლესიის საკურთხებლად მობძანდა ქუთაისის ეპარქიის ეპისკოპოსი გაბრიელ, რომელმაც წირვის შემდეგ წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა დამსწრეთა მიმართ. ხალხი ძალიან მრავალი დაესწრო. ეკკლესიაში ტევა არ იყო, ნახევარზედ მეტნი გალავანში იდგნენ. დ. ზესტაფონში მცხოვრებლების გარდა, ეკკლესიის კურთხევას გარეშე სოფლებიდამ ჩამოსული ხალხიც დაესწრო. წირვას დაესწრო მაზრის უფროსი და სხვა მოხელენი მაზრის მმართველობისანი.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთ «Московскія Вѣдомости»-ს ძალიან აფიქრებს და აწუხებს ის ამბავი, რომ ახლად გაკეთებული რკინის გზები, რომელთაც დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ, უცხოელების ხელში გადადის.

> რას ჰგავსო, ამბობს გაზეთი, რომ უმთავრესი ჩვენი რკინის-გზა, სახელდობრ ივანგოროდ-დობროვსკისა, რომელსაც ჩვენს დასავლეთ სამზღვარზე ერთი უმთავრესი სამხედრო მნიშვნელობა აქვს, ბერლინის ბანკირის საზოგადოებას ხელში ჩაუგდიათ. საზოგადოებას სრული ნება და შეძლება აქვს ისეთი წესები დაადგინოს ამ რკინის გზაზედ, რომ, ვინ იცის, ოდესმე შეტაკება რომ მოგვიხდეს ვისთანმე, ამ გზამ, ჩვენს მაგიერ, ჩვენს მტრებს გაუწიოს სამსახურიო. საკვირველი და გასაოცარი ამ საქმეში კიდევ ის არისო, რომ მთავრობა თავდებად უდგება საზოგადოებას დ ამ პირობას უდებს: თუ რკინის გზის შემოსავალი თქვენ ხარჯს ვერ დაჰფარავსო, თქვენს ფულზე ასზე ხუთ სარგებელს მაინც უთუოდ მიიღებთ ხაზინიდამაო.

ეს რაღაცა უცნაური საქმეაო;—ამბობს ბოლოს გაზეთი, სახელმწიფო თავდებად უდგება, და ხელს უწყობს უცხოელებს იმ გვარ საქმეში, რომელმაც, საბოლოვოდ შეიძლება ჩვენი საომარი დაწყობილობა სრულიად უკუღმა გადააბრუნოს და დაშალოსო.

⁂

რა არა თქმულა, რა არ დაწერილა გამოჩენილ პასტერზე: იმისი ტანსაცმელი, ხავერდის ქუდი, არა-მდიდრული სადგური, ღიმილი, მიხვრა-მოხვრა,—ყველა ეს გაზეთებმა დაწვრილებით აუწყეს ქვეყანას. ეხლა გაზეთ «Одесскій Листокъ»-ის ფელეტონისტს იმოდენა გამბედაობა გამოუჩენია, რომ პასტერის «საიდუმლოებსაც» შეჰხებია. ერთს ლაბორატორიაში პასტერს საიდუმლოდ დამწყვდეული ჰყავს თურმე ბლომა ავად-მყოფები, რომელიც მთელის ქვეყნის მხარეებიდამ იკრიბებიან. ეს უცნაური ავად-მყოფები ცალკე გალიებში სხედან თურმე. ამათში ერთი საყურადღებო ავად-მყოფი ურევია, გვარად ნადუვაკი. ნადუვაკი წინედ რუსეთში ცხენის ექიმი ყოფილა და ეხლა კი პასტერის ლაბორატორიაში მოჰყოლია. ფელეტონისტი ნადუვაკის ვინაობას ასე გვიწერს:

> ცხენის ექიმს ნადუვაკს არა ერთი და ორი, არამედ ათობით და ასობით გაუსტუმრებია საიქიოს ბრიყვი, უმეცარი ხალხი. ამას კიდევ, როგორც იყოს ვაპატიებდით, ნამდვილად რომ არ ვიცოდეთო, რომ ერთის უგუნურის მაგალითს სხვა ათი ახალი უგუნური ხელს უმართავს და მისდევს; რაც უფრო მეტს უგუნურს და უმეცარს ისტუმრებდა ნადუვაკი საიქიოს, მით უფრო ამათი რიცხვი მატულობდა და ბევრდებოდა. ცხენის ექიმი თავის უბედურ მსხვერპლებს არწმუნებდა თურმე, რომ კაცსა და პირუტყვთ შორის არაფერი განსხვავება არ არის-რაო და ამიტომ ამ უბედურთ ისე ექცეოდა თურმე, როგორც სახედრებს. ბოლოს, როგორცა ყოფილა, დაუჭერიათ ეს ნადუვაკი და პასტერთან გაუგზავნიათ.

მეორე საინტერესო ავად-მყოფი, რომელიც პასტერის საიდუმლო ლაბორატორიაშია თურმე დამწყვდეული, ვიღაც მჯღაბნელი მწერალი ყოფილა. ეს ავად-მყოფი რკინის გალიაშია თურმე შეკეტილი და თავისთვის წუმპეთ სავსე გობში ჭყუპალაობს.

> — მოერიდეთო!—გამაფრთხილა მოსამსახურემ, როდესაც ამ გალიას მივუახლოვდით, ამბობს იგივე ფელეტონისტი.
>
> — რა, მიკბენს?
>
> — ტალახით გაგსვრით!.. კბენასაც არ დაირიდებდა, მაგრამ კბილები აღარა აქვს,—ერთი კბილი-ღა ჩაჰრჩომია პირში და ისიც... აქ მოსამსახურემ სიტყვა გაწყვიტა, რადგანაც გალიიდამ საშინელი ყვირილი მოისმა: «მიშველეთ! მცარცვენ, მკლენ!»
>
> — ოხ, ღმერთო, დაგვიხსენ! სწორედ კიდევ ქურდობაში დაიჭირეს, რომ ყვირის «მცარცვენო»!.. ეგ არის მაგის უბედური ავად-მყოფობა!..

ეჭვი არ არის, ფელეტონისტი ვიღაცა ხალხის მცარცვავ-მგლეჯავებს და მწერლობის «დევ-გმირებს» დასცინის და, უნდა გამოვტყდეთ, ძალიან ბოროტადაც დასცინის!..

⁂

პირველი აპრილი, როგორც ყველამ იცის, მოტყუების დღეა. უბრალო სიკვდილის შვილები რომ მოატყუონ, ეს რა საოცარია, მაგრამ ნუ იტყვით, თურმე დიდ-კაცებსაც არ ასცდენიათ ამ გვარი მოტყუება. აი გაზეთი «Новости»-ს ერთი შემთხვევა მოჰყავს, რომლის მსხვერპლად დიდი გამოჩენილი კაცი გამხდარა.

> 1700 წელს მოსკოვში მოსულან ნემენცის აქტიორები. პირველს აპრილს თეატრში წარმოდგენა დაუნიშნავთ. აფიშაში სხვათა შორის ესეც ყოფილა მოხსენებული-«ერთი ნემენცი ბოთლში ჩაძვრებაო». ხალხი თავ-პირის მტვრევით მიაწყდა თეატრს—ყველას უნდოდა თავის თვალით ენახა ეს უცნაური ეშმაკობა ნემენცებისა. თეატრში დიდი-კაცი 1 მიბძანებულა. ხალხის მოუთმენელს ლოდინს სამზღვარი არა ჰქონდა თურმე. აი ბოლოს ფარდა აიხადა და გოცებულ მაცქერლებს სცენაზე წარმოუდგათ ბოთლი-რომელზედაც მსხვილი ასოებით დაწერილი იყო:
>
> «1-ლი აპრილი»!..

დიდ-კაცმა თავი შეიკავა, არ გასწყრა, თუმცა სთქვა თურმე:

«ეს დიდი თავ-გასულობაა აქტიორების მხრივაო».

ვისაც უნდათ,—მიწასთან გაასწორებენ, ქების ფასს იღებენ და იმითი სცხოვრობენო. მთელმა პარიჟმა იცის ერთის მდიდარის ჟურნალისტის ამბავი, რომელმაც სახელი და ფული იმითი იშოვა, რომ ერთის ხარისხოვანის ფატმან-ხათუნის «სეკრეტარი» იყოვო. ამ გვარი ვაჟ-ბატონები სძულთ, მაგრამ კი არ ებრძვიან. კაზი-კი, პირ-იქით, ებრძოდა და ეომებოდა ამ გვარ ვაჟ-ბატონებს.

— საქმე არა გაქვთ, რომ მაგისთანა გახრწნილ სულდგმულთ ებრძვითო? ეუბნებოდნენ კაზის მეგობრები.

— უნდა გაიწმინდოს ჰაერი ამ ავსუნოვან ლიტერატურის მძოვრთაგანაო, ამბობდა პასუხად პატიოსანის გულის-წყრომით რობერ კაზი.

სრულიად შეიპყრო კაზის არსება იმ აზრმა, რომ ვითომ შეიძლება გაიწმინდოს სამწერლო ასპარეზი წმინდა მსახურების ადგილთა გამწბილებელთა, შემგინებელთა და გამაუწმინდურებელთაგან. ეს აზრი იდეა ფიქსი შეიქმნა კაზისათვის. ამ აზრის გამო ოთხი დუელი ჰქონდა და ორჯელ მძიმედაც დაიჭრა. მაგრამ კაზი მაინც არ დაწყნარდა და არ უკუდგა. წარსულს შემოდგომას დასწერა პატარა მოთხრობა და ამ მოთხრობაში გამოჰხატა სხვა-და-სხვა უწმინდური ქცევა გაზ. «ფიგაროს» უწინდელის კრიტიკოსისა ფელისიენ შანსორისა. შანსორმა საპასუხო წერილი დაუწერა კაზის და შიგ გადაკვრით აგრძნობინა საზოგადოებას, ვითომ კაზი პარიჟიდამ წავიდა სხვის ცოლთან ერთად და თავისი საკუთარი ცოლიკი მიატოვაო. აილო ეს საძაგელი წერილი და კაზის მეუღლეს გაუგზავნა. ეს ამბავი მით უმეტესს უფრო საზიზღარი და ბინძური გამოვიდა, რომ კაზის ცოლი ჰლექით ავადმყოფი დედაკაცია და ექიმებს დიდი ხანია გადაწყვეტილი აქვთ, რომ აღარ მორჩებაო. გულ-მოსულმა კაზმა «*cafe-Americain*»-ის რესტორანში ერთი ყოფა დააწია შანსორს და დაემუქრა, რომ თუ კიდევ გიხსენებია მწერლობაში ჩემი სახელი, სილას არ ასცდებიო. შანსორმა პასუხად ჯოხი მოუღერა და კიდევაც დაჰკრა. კაზი თუმცა გულადი და მამაცია, მაგრამ არ მოინდომა შანსორთან ხმალში გასვლა და უჩივლა. ამით გათავდებოდა რესტორანის ამბავი, რომ ესრედ-წოდებული საზოგადოების აზრი არ ჩარეულიყო ამ საქმეში და მითქმა-მოთქმა არ დაეწყო სხვა-და-სხვა ბულვარის მტკეპნელსა. კაზის მტრებმა დაიწყეს ლაპარაკი, რომ კაზი მშიშარაა და იმიტომ მოერიდა შანსორსა და ხმალში არ გამოითხოვაო. ამ გარემოებამ საშინლად შეაწუხა და დაალონა ახალ-გაზდა რომანისტი.

მე შერცხვენილი და ნამუსის ქუდ-მოხდილი კაცი ვარ ახლაო. ამბობდა თურმე კაზი. ყოველი თავისი ფიქრი და ძალა იმას მოახმარა, რომ თავისი პატიოსნება აღედგინა. ერთის თთვის შემდეგ რომ ენახა ვისმე რომანისტი, ველარ იცნობდაო. გამხდარი, კისერ-ჩაძვრენილი კაზი დიდად უბედურივით მწუხარედ იცქირებოდაო.

— მე უსათუოდ უნდა ხმალში გავიდე, ვისთანაც იქნება, თორემ მხდალი კაცი ვეგონებით. ეუბნებოდა თურმე რობერ კაზი ყველა თავის ნაცნობს.

შემთხვევაც ჩქარა გაჩნდა. ვიღაც ვინიემ ერთს პატარა ჟურნალში მოუთხრა მკითხველებს კაზისა და შანსორის ამბავი რესტორანში და სხვათა შორის ასეთი სიტყვა იხმარა: შანსორმა კაზი ჯოხით მიბეგვაო (*rossat*—ოთხ-ფეხზე თურმე იტყვიან ფრანგები). კაზმა ეს იწყინა და გაუგზავნა ვინიეს სეკუნდანტები. ერთი ამ სეკუნდანტთაგანი პოლ ადანი ასე მოუთხრობს ამ ხმალში გასვლის სამწუხარო ამბავს:

დუელი მოხდა მაკედონის ტყეში, ერთს პატარა ველზედ. ორთავე მეტოქენი ძრიელ აღელვებულნი იყვნენ. ვინიე იმიტომ რომ პირველად გადიოდა ხმალში და კაზი კიდევ იმიტომ, რომ გზაში ცხედარს მიასვენებდნენ და ამან დაალონა.

— ჰნახავთ, თუ არ მომკლან დღეს, გვითხრა კაზმა სეკუნდანტებს—რაღა ეშველებათ ჩემს შვილებს!

ვანიშნეთ თუ არა, რომ დაეწყოთ ბრძოლა, ორთავეს ხმალმა იელა, მაღლა ჰაერში გაიკრიალა და ერთმანერთს გადაეჯვარედინა. ხოლო ამ გვარმა გადაჯვარედინებამ ცხადად დაგვანახვა, რომ არც ერთი მეხმლე არა გრძნობდა, რას ჩადიოდა. ამას გარდა იმის მაგივრად, რომ ერთამანერთისათვის მიეშვირათ მარჯვენა მხარი და ალმაცერად დამდგარიყვნენ, ერთმანეთს გული მიუშვირეს. ვინიემ უნდომლად წინ გამოიშვირა ხმალი, ხოლო კაზი მიეტია მეტოქეს და ამ დროს ზედ-კი წააგო ხმალს. ხმალი ეცა და ღვიძლამდე მიაღწია. კაზის ჰრილობა მძიმე აღმოჩნდა და საწყალმა რომანისტმა მალე სული დალია და 18 მარტს დაასაფლავეს. კაზის ცოლი ერთს თთვესაც ძლივს-ღა იცოცხლებს ამის შემდეგ და მათი შვილები დარჩებიან ობლად და უპატრონოდაო.

ამ გვარად აღდგენილ იქმნა პატიოსნება, მაგრამ, ღმერთო, რა საშინელი ძვირი სასყიდელი მოითხოვა ამ აღდგენამ! ახალ-გაზდა, თავისებურობით და ნიჭით სავსე მწერალი, მამა ოჯახისა ჰბედავს და ივიწყებს ოჯახსაც, ავად-მყოფ ცოლსაც, საქმესაც, რომელიც ისე უყვარდაო და პირველს ოხერს გულს უშვერს იმისთვის, რომ მხდალი და ჯაბანი არ დამიძახონო. ჭეშმარიტად, სამწუხარო და გულ-საკლავი ამბავია!

გასართობი

ხუმარა კაცის-მკვლელი. საფრანგეთის ერთს ქალაქში ამას წინად მოჰკლეს ერთი მედუქნე—მეწვრილმანე; მკვლელი მეტად წინ-დახედული კაცი ყოფილა: ჩაედინა ავაზაკობა, გამოსულიყო დუქნიდგან, გამოეხურა კარები, დარაბები აეწყო და დარაბებზე ქაღალდი დაეკრა შემდეგის წარწერით: «პატრონის სიკვდილის გამო დუქანი დაკეტილიაო».

ერთი ამბავი გამოჩენილის საფრანგეთის მწერალის ა. დიუმას ცხოვრებიდგან. ალექსანდრე დიუმა ერთხელ ჰამლეტში აჩრდილის როლსა ჰთამაშობდა; ეს როლი მან თავისებურად გარდააკეთა. წარმოდგენა ემილ დე-ჟირარდენის სასტუმრო ოთახში იყო. განთქმულის მწერლის სცენაზე გამოსვლამ დიდი ტაშის კვრა და «ბრავოს» ძახილი გამოიწვია. როდესაც აჩრდილის სცენაზე გამოსვლის დრო მოვიდა, დიუმა ნახევრად გაღებულს კარებში გაძვრა და შუა სცენაზე გაქვავებულსავით აიტუზა. ეს საქციელი მოეწონეს. მაგრამ როდესაც მწერალს ლაპარაკის დრო მოუვიდა, მწერალმა, რომლის კალამმაც იმდენი მშვენიერი აზრები დასწერა, ერთი სიტყვა ვეღარ წარმოსთქვა, ისე აირია. დასასრულ იქამდინ დაჰკარგა სიმამაცე, რომ სრულიად დაავიწყდა როლი და მხოლოდ ის-ღა მოახერხა, რომ ენის დაბმით მიუბრუნდა ერთს არტისტს, რომელიც ჯარის-კაცის როლსა ჰთამაშობდა და უთხრა: ჩემო მეგობარო, უთხარი ჩემს შვილს ჰამლეტს, რომ მე სრულებით დამავიწყდა, რაც უნდა მეთქვა და ეხლა მხოლოდ ის-ღა მსურს, რომ რაც შეიძლება ჩქარა მოვკურცხლო აქედგანაო».

ცუდლუტი თაგვი. ბერლინის ოპერის თეატრში, «აიდის» წარმოდგენის დროს, ერთს ქალს, რომელიც ლოჟაში იჯდა, ძარღვების სისუსტე მოუვიდა. ამ ამბავმა მთელი ხალხი მიიზიდა, მთელი საზოგადოება აშალა. შეიყვანეს ქალი მოსართველს ოთახში და მოწვეულმა ექიმმა ჩქარა იპოვნა მიზეზი. როდესაც კაბა გაუხსნა ქალს, ტიურნურიდგან გამოვარდა პატარა წრუწუნა თაგვი, რომელიც ტიურნურში მომწყვდეულიყო და ამის გამო წასვლოდა გული ქალს. ალიანქოთის ამტეხი უცნაური დამნაშავე ვერ დაიჭირეს, დ გამოუკვლეველია, როგორ მოემწყვდა ტიურნურში დამნაშავე.

კატის დამარხვა. იაპონიაში ცხოველებში ყველაზედ მეტად პატივსა სცემენ და უყვართ კატა, ამიტომაც როცა კატა მოკვდება, იმისი დამარხვა დიდის ამბითა და ყოფით არის ხოლმე. ამას წინად, მაგალითად, მოკვდა ერთის დიდი-კაცის ქალის მეტად საყვარელი კატა. კატის ლეში თეთრს აბრეშუმისაგან გაკეთებულს კუბოში ჩასდეს და სასაფლაომდის დიდის მწუხარებით და გალობით მიაცილეს. კუბოს უკან მიზდევდა თვით კატის პატრონი შავ-კაბაში და გვერდით მიჰყვებოდნენ ურიცხვი მოტირალე დედა-კაცები. დასასრულ, კუბო გააჩერეს გათხრილს საფლავის პირზედ, დიდის ამბით ჩაასვენეს კუბო და მიწა მიაყარეს. ეხლა ამ კატის საფლავი მხოლოდ ყვავილებით არის მორთული, მაგრამ თავის დროზედ კი საყვარელ კატის საფლავს მშვენიერი და დიდებული ძეგლი დაამშვენებს.

დეპეშა

8-ს აპრილს

ტამბოვი. საერთო კრება საურთიერთო ნდობის საადგილ-მამულო საზოგადოებისა დანიშნული იყო 6 აპრილს, მაგრამ ვერ შესდგა, რადგან იმდენი მსესხებელნი არ გამოცხადდნენ, რამდენიც საჭირო იყო წესდების ძალით. კრებას უნდა მოელაპარაკა, რა ღონის-ძიებით შეიძლება ფასი მოემატოს ოქროზე გასანგარიშებულს გირავნობის ფურცელთაო. არა-ჩვეულებრივი საერთო კრება ხელ-ახლად დანიშნა ქ. ტამბოვს 21 აპრილისათვისაო.

ვორონეჟი. საერთო კრებამ საურთიერთო ნდობის საადგილ-მამულო საზოგადოებისამ 6 აპრილს დაადგინა: მივიღოთ ფინანსთა სამინისტროს წინადადება საზოგადოების სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკთან შეერთების თაობაზე და ვიშუამდგომლოთ, რომ 1) შეამციროს გადასახადი 6 მან. 90 კაპ. და მაგიერ დააწესოს მარტო 6 მან. და 25 კაპ.; 2) რომ ნება-დაგვრთონ აზნაური იქმნება თუ არა-აზნაური, ვინც მამულის ვალი იკისროს, იმაზედ გადავიდეს ეს მამული, ვინიც უნდა იყოს, აზნაურისა თუ სხვა წოდების კაცისაო; 3) რომ ნება-დაგვრთონ მოკლე ვადიანი სესხნი გავცეთო და 4) რომ უფრო ადვილად შესაძლებელ იქმნას მივყიდოთ გლეხებს გლეხთა სახელმწიფო ბანკის შუამავლობით ის მამულები, რომელნიც თავად-აზნაურთ სახელმწიფო ბანკში იქმნენ გადატანილნიო.

სიმბირსკი. სიმბირსკის საერთო კრებამ საურთიერთო ნდობის საადგილ-მამულო საზოგადოებისამ განიხილა საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა ეს საზოგადოება შეუერთდეს თავად-აზნაურთ სახელმწიფო ბანკს. კრებაზე დაესწრნენ წარმომადგენელნი არა ნაკლებ მილლიონად ღირებულის მამულების პატრონნი თავად-აზნაურნი და ისეთნი არა-აზნაურნიც, რომელთა მამულის ფასი არ აღემატება 300,000 მანათს. კრებამ ერთ-ხმივ დაადგინა: მიიღოს წინადადება სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკთა შეერთების შესახებ, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ 6%-ზედ მეტი გამოსართმევი არ იყოს და ას მანათიანი ოქროს ფული ას-ოც-მანათ ქაღალდის ფულად ითვლებოდეს. ამასთანავე ყველა სესხის ამღებელი თანასწორად შერაცხულ იყოს წოდებათა განურჩევლად და ვიშუამდგომლოთო, რომ დაუყოვნებლივ ოქროს ფულის ანგარიშით აღებულ ვალისათვის ქაღალდის ობლიგაციები იყოს გამოცემული პრემიების ზედ-დართვითაო.

პენზის ამ გვარსავე საზოგადოების კრებას უარი უთქვამს შეერთებაზე.

ლონდონი. პალატის კრება გადადებულ-იქმნა 21 აპრილისათვის.

9-ს აპრილს

პეტერბურგი. ცალკე ნომრების გაყიდვა «Современныя Извѣстія»სი აიკრძალა.

უწმინდესის სინოდის განაჩენის ძალით სასულიერო-სამრევლო სკოლების მოწაფეთ, რომელთაც ამ წელს კურსი შეუსრულებიათ: შეუძლიათ მოწმობის მისაღებლად, რომ სამხედრო ბეგარაში მეოთხე რიგის შეღავათი მიეცეთ, ეგზამენი დაიჭირონ იმ საეგზემენიო კამისიაში, საერო განათლების სამინისტროს მიერ დაწესებულში, რომელსაც უფრო ადვილად მოხვდებიან ანუ შემდეგის სამოსწავლო წლის დასაწყის მიიღონ ეგ მოწმობა იმ წესთა ძალით, რომელნიც ნაბძანებ ექნებათ საეპარქიო სამოსწავლო რჩევასა.

რომი. ვენეციაში ხოლერით ავად გახდა სამი კაცი, მოკვდა ორი. ხოლერა გამოჩნდა კიოჯას და კავარცეროშიაც.

პარიჟი. დეპუტატმა პასსიმ გუშინ შეიტანა პალატაში წინადადება, რომ საფრანგეთმა იმეცადინოს საბერძნეთის საქმე მედიატორეთა განსამართლებით დაბოლოვოს. მინისტრმა ფრეისინემ უპასუხა, რომ საფრანგეთი მაგას ვერ იკისრებსო, იმიტომ-რომ საბერძნეთის საქმის განსამართლებისათვის საბჭო უკვე არსებობსო; ეგ საბჭო ევროპიის სახელმწიფოთა კრებაა, რომელიც ცდილობს, რომ მშვიდობიანად გადასწყვიტოს ოსმალო-საბერძნეთის დავაო.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14.
ამისი ქორონიკონი—უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4.
ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 თებერვალს, დიდ-მარხვა—23 თებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება—22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, 9 ივნისიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

აპრილი 30 დღით არის

8 დღე სამშაბათი. წმ. მოციქული იროდიონ, კათ. დიონიზი ეპისკ. მუსულმ. 16 დღე თთვისა რეჯაბ 1303 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58—50. ტფილისში მზე ამოდის 5—13; ჩადის 6—46. მთვარე 17 დღისაა, ამოდის 8—58 ღ. ჩადის 6—19.

9 დღე ოთხშაბათი. წმ. მოწამე ევფსიხი. სომ. განცემა უფლისა ჩვენისა. კათოლ. მარიამ კლეოფისა და გუგონისა. ჭეშმარიტი შუა-დღე, 11—58—37. ტფილისში მზე ამოდის 5—11. ჩადის 6—47. მთვარე ამოდის 9—57 ღ. ჩადის 7—0.

10 დღე დიდი ხუთშაბათი. საიდუმლო წმინდა სერობა, წმ. მოწამე ტერენტი, მაქსიმე და სხვა. შობა მ. უმაღლ. დიდის მთავარის ვლადიმირ ალექსანდროვიჩისა (39 წლისა). სომეხთა. საიდუმლო წმ. სერობა, ხსენება ფერხთ ბანვისა. ესევე დღესასწაულია ფრანგთათვის. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58—25. ტფილისში მზე ამოდის 5—9; ჩადის 6—49. მთვარე ამოდის 10—55 ღ. ჩადის 7—43.

11 დღე წითელ-პარასკევი. ვნება, ჯვარ-ცმა და დაფლვა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, ღირსისა იოანესი, მღვდელ-მოწამისა ეპისკ. ანტიპასი. სომეხთა: ვნება, ჯვარცმა და დაფლვა უფლისა. კათ. იგივე წითელ-პარასკევი, დიდისა ლეონისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58—18. ტფილისში მზე ამოდის 5—7; ჩადის 6—50. მთვარე ამოდის 11—45 ღ. ჩადის 8—32.

12 დღე დიდ-შაბათი. ღირსისა ვასილისა, წინა-დღესასწაული, კვირა-ძალი აღდგომისა; აგრეთვე ფრანგთა, სომეხთა, ნავაქატიკი. გენ. ლ. კნორინგმა გამოაცხადა ტფილისში მანიფესტი, რომ საქართველო რუსეთს შეუერთდაო და დაათვიცა ყველა წოდების მკვიდრნი საქართველოსნი 1802 წელსა. ამ დროს საქართველოს ერს დაუბრუნდა წმ. ნინოს ჯვარი, რომელიც ვახტანგ მეფემ VI-ემ რუსეთში წაიღო 1724 წ. ჯვარი დაასვენეს სიონში. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58—2. ტფილისში მზე ამოდის 5—6; ჩადის 6—51. მთვარე ამოდის 12—0 ნღ. ჩადის 9—23.

13 დღე კვირა. წმ. აღდგომა ქრისტესი. წმ. მოწამე არტემონისა. სომეხთა და ფრანგთა: წმ. აღდგომა. ხსნილი ქართველთა ოთხშაბათ-პარასკევსაც კვირა-ცხოვლამდე, სომეხთა—ამაღლებამდე. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57—51. ტფილისში მზე ამოდის 5—5; ჩადის 6—52. მთვარე ამოდის 12—31 ნღ. ჩადის 10—16.

14 დღე ორშაბათი. აღდგომის მეორე დღე. წმ. მარტინისა, ხსოვნა წმ. მამათა, მოწყვედილთა დავით-გარესჯის უდაბნოში 1617 წ. სომეხთა. ჰიშატაკ მერელოც. კათოლიკ. ბრწყინვალე ორშაბათი ვალერინისა და მაქსიმესი. შობა მ. იმპ. უმაღლესობისა დიდის მთავრის ნიკოლოოზ მიხეილისძისა (27 წლისა). ჭეშმარიტი შუა-დღე 12-57—41. ტფილისში მზე ამოდის 5—3; ჩადის 6—53. მთვარე ამოდის 1—12 ნღ. ჩადის 12—10.

მაზანდა.

1 აპრილიდამ 1-ლ მაისამდე.

1 გირვ.	5 კ.
ადგილობრი პური 1-ლის ხარისხ. სა.	2½ ,
, , 2 ,	2 ,
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში 1-ლის ხარისხისა	4½ ,
მე-2 ხარისხისა	3 ,
მე-3 —	2½ ,
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა	8 ,
2 —	7 ,
ჩალაღაჯი და ცალკე ამოჭრილი სუკი	14 ,
ცხვრის ხორცი	9 ,

გამოსადეგი ცნობანი.

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. ღ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. ღ.
ბაქოდამ მოდის— — — 8 ს. ,, —,, დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 ნ. წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კავკავში შედის — — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31-

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.
კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მოვიდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკსა და კერჩში შევლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

იძლევა ქირით სარდაფი

კირპიჩნისა და ოლღინსკი ქუჩის კუთხეში, ტ. გაბაშვილის სახლებში.

ქალაქის პროფესიონალურ სასწავლებლის სახელოსნოში, რომელიც ჰავჰავაძის ქუჩაზე იმყოფება, ფედოროვსკის სახლში 6 აპრილიდამ 10 აპრილამდე დილის 10 საათიდამ 2 საათამდე გაისყიდება საყმაწვილო და საქალებო საცვალი და საგაზაფხულო ტანისამოსი.

(2—2)

„თამარ ცბიერი“

ისტორიული დრამატიული პოემა

აკაკისა,

ისყიდება მორიჯის ბიბლიოთეკაში, გოლოვინის პროსპექტზე, მუხრან-ბატონის სახლში და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში. ფასი ათი შაური.

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

ქილილა და დამანა

მეფის ვახტანგ VI-სა

გრიგოლ გურიელის გამოცემა

ილია ჭყონიას რედაქციით.

ფასი სამი მანეთი.

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სამმართველოში, ბანკის ქუჩა (Банковскій переулокъ), № 23. ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში, ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების წიგნთა მაღაზიაში; ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიაში. ოზურგეთში—რაჟდენ წუწუნავასთან ვინც ერთად ნაღდ ფულზე იყიდის თვით საზოგადოების სამართველოში არა ნაკლებ 20 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნზედ ათი შაური.

Дозволено цензурою Тифлисъ 9 апрѣля, 1886 г.
ქ. ხელაძის სტამბა თავის საკუთ. სახლებში.
რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.